

დიაგრამები

სასწავლო პროცესის წარმართვისას, მასწავლებელს ხშირად თვალსაჩინოებისა და მოსწავლისათვის საკითხის უფრო მარტივად და გასაგებად ასახსნელად ხშირად ესაჭიროება დიაგრამების აგება. დიაგრამები საჭიროებისდა მიხედვით ერთმანეთისგან სტრუქტურულად განსხვავდებიან.

Microsoft office word მათი აგების მარტივ ხერხს გვთავაზობს. ვთქვათ ასახსნელი გვაქვს გაკვეთილი სათაურით „მსოფლიო და ეროვნული რელიგიები“, რომელშიც გვჭირდება რელიგიური სტრუქტურის აგება. ჩვენი დავალება შემდეგში მდგომარეობს: უნდა დავწეროთ სათაური რელიგიები, შემდეგ რომ იგი იყოფა მსოფლიო და ეროვნულ რელიგიებად. ამის შემდეგ ეროვნული რელიგიების ქვემოთ უნდა ჩამოვწეროთ თითეული ცალ-ცალკე.

დასახული მიზნის მისაღწევად ვრთავთ კომპიუტერს, ვხსნით word-ის ცარიელ ფურცელს, და შევდივართ insert მენიუში, სადაც ჩამონათვალში გამოჩნდება SmartArt.



შევდივართ SmartArt-ში, სადაც გამოჩნდება სურათში

წარმოდგენილი ველი. ველის მარცხენა ნაწილში არის ჩამონათვალი ინგლისურ ენაზე, რომელიც გვთავაზობს მრავალფეროვან არჩევანს. ჩვენ ვათვალიერებთ მათ და ავარჩევთ ოფტიმალურ ვარიანტს.



ჩვენს შემთხვევაში ხელსაყრელია Hierarchy ვარიანტი, რომელსაც მაუსით ვაჭერთ ხელს და გამოჩნდება ვარიანტები, რომელთაგან შევარჩევთ შემდეგს:

აღნიშნულ უჯრებში ვიწყებთ მონაცემთა შეტანას და ვღებულობთ შემდეგ სახეს:



როგორც ვხედავთ მსოფლიო რელიგიების ქვემოთ ქრისტიანობისა და ისლამის გვერდით გვჭირდება კიდევ ერთი უჯრა ბუდიზმისათვის. ამისათვის კურსორს მოვათავსენთ ისლამის უჯრაში და ჩავაწკაპუნებთ მაუსით შიგ, შემდეგ ზედა ველში მოვძებნით ღილაკს Add Shape და ვაჭერთ თითს:



სადაც ჩამოიშლება ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი ვარიანტები: წარწერების მარცხენა ნაწილში ნახაზისა და ყვითელი ფერის ფიგურის საშუალებით მოცემულია თუ როგორ ვარიანტს გვთავაზობს კომპიუტერი. რადგან ისლამის უჯრის გვერდით გვჭირდება ერთი უჯრა, ამიტომ ვაჭერთ ღილაკს: Add Shape After, რაც ქართულად შემდეგის მონიშვნას

ნიშნავს. დაემატა ახალი უჯრა და ჩავწერთ შიგ ბუდიზმს.

მივიღებთ ასეთ ვარიანტს:



ახლა გვჭირდება ეროვნული რელიგიების უჯრიდან გამომდინარე ოთხი უჯრა, ჩვენ სახეზე გვაქვს მხოლოდ ერთი, ამიტომ იგივე მეთოდით ვამატებ უჯრებს: ცარიელ უჯრაში ვწერთ ერთ-ერთ ეროვნულ რელიგიას, მაგ. ინდუიზმს, შემდეგ ამ უჯრაში ვაწკაპუნებთ მაუსით და გადავდივართ Add Shape - ში, სადაც ჩამოშლილი ვარიანტებიდან ისევ ვირჩევთ ჩვენი მოცემული მომენტისათვის ხელსაყრელ Add Shape After-ს. დაემატა უჯრა, ჩავწერთ შიგ მაგ. იუდაიზმს. ზუსტად იგივე თანმიმდევრობით დავამატებთ კიდევ ორ უჯრას და მივიღებთ საბოლოო ვარიანტს:



მ. სურმავა